



## ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2015

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცელის გაპეცვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

№№ 13-34 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უკრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უკრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.

პასუხების გადატანისას არ აგერიოთ დავალებების ნომრები!

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ არასწორად მონიშნული უკრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა.

№№ 1-12 და 35 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში.

№ 35 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: ა), ბ) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადაა მითითებული.

**სავალდებულობა,** რომ № 35 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ ადგილებში გადაიტანოთ.

№ 35 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა **დაშვებელია.**

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



## I. ქართული ენა

- (2) 1. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ენობრივი ფორმა სალიტერატურო ქართულის ნორმის დადგენისას, რათა პარალელური გარიანტებიდან საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყვდეს.
- 
- 
- 

- (2) 2. რის სინონიმად გამოიყენება გამოთქმა „თემიდას სასწორი“? ეს გამოთქმა მომდინარეობს – ანტიკური მითოლოგიიდან, ქართული მითოლოგიიდან, ბიბლიიდან ოუ მხატვრული ლიტერატურიდან?
- 
- 
- 

- (1) 3. მოსწავლემ დაწერა: არავინ იცოდა, თუ რა ბედი ეწვია საქართველოდან გატანილ ხელნაწერებს. აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადაღებას.
- 
- 
- 

- (1) 4. მოსწავლემ დაწერა: მათ დედა-შვილური დამოკიდებულება პქრნდათ. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 
- 

- (1) 5. მოსწავლემ დაწერა: ეს ძაღლი გახტანგიმ მაჩუქა და 6 თვიდან მე ვზრდო. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 
- 

- (2) 6. მოსწავლემ დაწერა: ბავშვები ცისფერი კვავილის დაცვენილ ფურცლებს კრიფავდნენ. მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 
-

- (2) 7. მოსწავლემ დაწერა: წარდგნის შემდეგ ბაბილონში ადამიანებმა განიზრახეს ისეთი კოშკი აუგენებიათ, რომელიც ცას მისწვდებოდა.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (2) 8. მოსწავლემ დაწერა: ლონდონიდან ჩამოიტანეს ორი უნიკალური დოკუმენტი, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას ახახავს.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (1) 9. მოსწავლემ დაწერა: კარგი ნაწარმოები ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, ამბობს მწერალი.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (5) 10. თქვენი მიზანია გაახსენოთ მოსწავლეებს ის საკითხები, რომლებიც დაეხმარება მათ შეწყმული წინადაღების არსის უკეთ გაგებაში.  
(2) I. ჩამოვალეთ ეს საკითხები;  
(2) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში.  
(გათვალისწინეთ, თუ ამ დაგაღების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 

- (7) 11. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.  
(1) I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ლევან ბრეგაძის ესედან „ევროპა ვართ თუ აზია“ და დაასაბუთეთ,  
რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.  
(1) II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა, რომელიც ესეში წამოჭრილ საკითხს თანამედროვე პრობლემატიკას დაუკავშირებს.  
(2) III. სადისკუსიო თემის გათვალისწინებით ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ლევან ბრეგაძის  
თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.  
(2) IV. იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშეგძლი იქნება ერთი ენობრივი შეცდო-  
მა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).

ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ევროპელობისა თუ აზიელობის დასადგენად შეიძლება გამოდგეს ქალის ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში. 1905 წლის ამბოხების დროს გურიაში მოუწია ყოფნა ერთ ძალიან დაკვირვებულ და ჰერცოგიან უცხოელს, ედუარდ იუონს, რომელმაც შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები სოლიდურ გერმანულ ჟურნალში გამოაქვენა 1907 წელს სათაურით „ერთი წელი ამბოხებულ გურიაში“. ერთ-ერთი მისი დაკვირვებათაგანი ასეთია:

„ოჯახში ქალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, თავის ოთხ კადელს შორის იგი სრული მბრძანებელია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც არაფრით დგას მამაკაცზე უკან – თვით კონსერვატიულ წრეებშიც კი, რომლებიც ახალ სოციალურ იდეებს არ თანაუგრძნობენ. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ეს ხალხი მუდამ მაპმადიანებით გარშემორტყმული ცხოვრობდა და ახლაც მათი უშეალო მეზობელია“.

ქალის აქტიური როლი ოჯახსა და საზოგადოებაში ის მიჯნა იყო, რომელიც ზღვარს უდებდა ჩვენს ინტერესის აღმოსავლეთთან.

- (12) 12. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

  - I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს ოქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს ძიებულეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ სტილისტურს.
  - II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დაგალების უკეთ შესრულებაში.

## შეფასების სქემა

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქვლები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოდ, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) დავალების პირობა არააღეპატურადაა გაგებული.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწილი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არააღეპატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>საშუალებები</b> შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის <b>ექსპრესიუმები</b> შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა <b>ექსპრესიუმებია</b> .	2 1 0

### მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

### მოსწავლის ნამუშევარი:

XXI საუკუნე ჩვენ მიგვაჩნია სრულიად ცივილიზებული და დემოკრატიული, თუმცა, არსებობს ჩვენ ცხოვრებისეულ სისტემაში ხარვეზები. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

სიტყვის თავისუფლება, რაოჭმაუნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც უნდა იყოს შეზღუდული. ჟღერს არადემოკრატიულად, მაგრამ არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, მაგალითად ნეონაციისტები, რომელიც ამ თავისუფლებას არასწორად იყენებენ, კონკრეტულად, რასისტულ-ნაციისტური იდეების პროპაგანდისა და გავრცელების სახით. ამ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება მავნებელია საზოგადოებისათვის.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ამისათვის იბრძვის ეფექტური სწორები, ამერიკის მთავრობის ყოფილი აგენტი. მისი აზრით, მთავრობა არ უნდა აკონტროლებდეს ადამიანის პირად ცხოვრებას, თუმცა, ამას დადებითი მხარეც აქვს – უამრავი ტერორისტი დაიჭირეს სწორედ სატელეფონო ხაზების, ელექტრონულ ფოსტისა და საბანკო ანგარიშების კონტროლით. ამ მოსაზრების წინადაღლება იბრძვის ის, ვისაც რამე აქვს დასამალი. სწორების „სიტყვის თავისუფლებამ“ დაწყება მისცა ცივ ომს და რესერტისა და აშშ-ს პოლიტიკურ-დემოკრატიული ურთიერთობები კიდევ უფრო გააუარესა.

გვიქრობ, რომ ამ ორი ფაქტორის, სიტყვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აქტუალობას ვერ შევადარებოთ ერთმანეთს, პირველ რიგში, იმისათვის რომ, ისინი განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან, გარდა ამისა ორივეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე აქვს.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).



## II. ქართული ლიტერატურა

- (1) 13. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: არის თუ არა რაიმე ცნობილი „შუშანიკის წამების“ ავტორის შესახებ, გარდა თხზულებაში მოცემული ცნობებისა? რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) ბერ იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი ცნობილი პიმის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ შემქმნელი, მეცნიერთა ვარაუდით, იაკობ ხუცესი უნდა იყოს.
- ბ) სომები ისტორიკოსის, კორიუნის, წიგნში ნახსენები ქართლის კათალიკოსი იაკობი, მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ იაკობ ხუცესი უნდა იყოს.
- გ) „ქართლის ცხოვრებაში“ არის მწირი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ვარსექნის სიკვდილით დასჯის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა იაკობი სამეფო კარზე მიიწვია.
- დ) 506 წლის დვინის საეკლესიო კრებასთან დაკავშირებულ წყაროში მოხსენებული ეპისკოპოსი იაკობ ცურტაველი, მეცნიერთა ვარაუდით, თხზულების ავტორი უნდა იყოს.
- (1) 14. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რას ნიშნავს აბო თბილეულის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ძაქუმე ნიშნავი ქრისტესმიერი, გუირგუინი ცხორებისა და უხრწევლებისაი...“? რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) მოწამის გვირგვინი ქრისტემ საჩუქრად მომიძღვნა.
- ბ) მოწამის ცხოვრება ქრისტეს ძლიერებაზე მეტყველებს.
- გ) ქრისტეს გვირგვინის ხელისუფალნი ვერ წამართმევენ.
- დ) ქრისტეს წყალობა ჩემი განსწავლულობის გამოვლინებაა.
- (1) 15. გიორგი მერჩულე ეფრემ ეპისკოპოსის დამსახურებათაგან საგანგებოდ გამოარჩევს მის მიერ ქართლში მირონის კურთხევის დაწესებას. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ ენიჭებოდა ასეთი მნიშვნელობა ქართლში მირონის კურთხევის დაწესება?
- რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) ამით ქართული ეკლესია მართლმადიდებლურ სამყაროში უპირატესობას მოიპოვებდა.
- ბ) ეფრემის მეოხებით ქართლში მირონის განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ.
- გ) მირონის კურთხევა ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავდა.
- დ) მირონის ჩამოტანა წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან აღარ დასჭირდებოდათ.
- (1) 16. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რა მიზნით ამბობს რუსთველი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვარვე და ლექსად გარდავთქვი“? რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) ავტორი ცდილობს აირიდოს, ერთი მხრივ, სამეფო კარის მოსალოდნელი რისხვა, რაკი თანადროულ პოლიტიკურ რეალობას თამამად ასახავს, ხოლო, მეორე მხრივ, აიცილოს სასულიერო წრეების კრიტიკა, რადგანაც ხოტბას ასხამს ხორციელ სიყვარულს.
- ბ) ავტორი ცდილობს თავი დაიზღვიოს სასულიერო წრეების მოსალოდნელი კრიტიკისაგან, რადგან არც ქრისტიანულ სამებასა და მაცხოვარს ახსენებს, არც მოციქულთა სიტყვებს იმეორებს და არც სახარებისეულ ციტატებს იმოწმებს.
- გ) ავტორი ცდილობს თავიდან აირიდოს სამეფო კარის მოსალოდნელი უკმაყოფილება, რადგან პოემაში ნაკლებად ჩანს იმდროინდელ მეფე-დიდებულთა დამსახურება ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა თუ კულტურული აღორმინდების თვალსაზრისით.
- დ) ავტორს სურს თავიდან აირიდოს მკითხველთა ზედმეტი ქება-დიდება, რადგანაც თავმდაბლი ადამიანია და არ უნდა იმის ხაზგასმა, რომ ასეთი ეფექტური და შთამბეჭდავი სიუშები მისი შეთხულია.
- (1) 17. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: ვინ არის მოხსენიებული რუსთველის ფრაზაში – „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“ – და რა დაფარული „საქმე განაცხადა“ მან? რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) ანტიკურ სამყაროში ცნობილი დიონისე თრაკიელის ავტორიტეტის დამოწმება ავტორს იმისთვის სჭირდება, რომ მკითხველისთვის კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდეს შეხედულება – დმერთი მხოლოდ სიკეთეს ქმნის და არა ბოროტებას.

- ბ) აქ იხსენიება ძველი ბერძენი ისტორიკოსი დიონისე პალიკარნასელი, თუმცა რუსთველი მას საპირისპირო აზრს მიაწერს, თითქოს მას ეთქას, რომ დმერთი მხოლოდ სიკეთეს აძლევს არსებობის უფლებას, ბოროტებას კი – არა.
- გ) ფეევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილმა ადამიანმა ხუთი წიგნი დაწერა, როთაც ახალი ეტაპი დაიწყო ქრისტიანულ თეოლოგიაში, კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ დმერთს ბოროტება არ შეუქმნია, ამიტომ ბოროტება „არ არსია“, საერთოდ არ არსებობს.
- დ) ძველი ბერძნული მითოლოგიის დმერთი დიონისე რუსთველის პოემაში სიუგარულის, ლინიისა და მხიარულების სიმბოლოა, რასაც ავტორი იყენებს იმ აზრის გამოსახატავად, რომ უთვალავფერებიანი სამყარო მშვენიერია და იგი არ უნდა უარყო.

- (1) 18. მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: უტყობა, გრიგოლ ორბელიანი არ იყო კარგი პიროვნება, თორებ რატომ უნდა უოფილიყო შეძლებული გენერლისათვის ასე ძნელი, დახმარებოდა გაჭირვებულ დისტანციებს, სამუშაოდ სადღაც გადაკარგულში რომ არ წასულიყო. რომელი პასუხი გამოდებათ ამ მოსაზრების კონტრარგუმენტად?
- ა) გრიგოლ ორბელიანი ამ დროს გადასახლებული იყო 1832 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის და თავად საჭიროებდა დახმარებას; ამასთანავე, მას, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს, თავისი ჩარევით შესაძლოა უფრო გაერთულებინა დისტანციის მიღება რომელიმე სახელმწიფო სამსახურში, სადაც კარგი ანაზღაურება ექნებოდა.
- ბ) გრიგოლ ორბელიანი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა და, ამდენად, რეალურად არც არაფერი შეეძლო, ამასთანავე, იგი დარწმუნებული იყო, რომ მელიტონი კავკასიის მთავარმართებელს სოხუმიდან შეიძლის გაგზავნას პეტერბურგის უნივერსიტეტში ან მის მოწყობას მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე მთავარმართებლის კანცელარიაში.
- გ) როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილს უჭირდა, ბიძამისი არ ჩქარობდა მის დახმარებას, რადგან დარწმუნებული იყო, ოჯახი თავად დაადწევდა თავს გაჭირვებას; ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი ნიჭითა და წარჩინებული ახლობლების დახმარებით თავად ვერ გაეკვლია გზა.
- დ) როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილს უჭირდა, ბიძამისი მდიდარი გენერალი კი არ იყო, არამედ – დაბალი ჩინის ხელმოკლე თფიცერი და დადესტანტი იმყოფებოდა; ამასთანავე, ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ გრიგოლ ორბელიანი არათუ ზრუნავდა დისტანციებს, არამედ ყველაზე პრაქტიკულ რჩევებსაც აძლევდა მის ოჯახს.

- (1) 19. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: მაინც სად ჩანს ილიას ტექსტებში ის პოზიცია, რომ ხელოვნების ფუნქცია საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანაა?
- რომელი ციტატა გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) „არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვერან – და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად“.
- ბ) „მართლა, რომ ცოდნა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდნ? ერთიც ეს არის საჭირობოროტო და წყევაკრულვიანი საკითხავი ამ უთაგბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“.
- გ) „მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხოვობა სარკე იყოს და მე – თუ გინდა – მოქმედი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე“.
- დ) „რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. დვინო ჯერ უნდა აღუდდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“.

- (1) 20. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ უნდა წავიკითხოთ აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასაგალი“, რომ არის ის ასეთი საინტერესო ან მხიარულოვანი?
- რომელი თვალსაზრისი გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) აკაკი თავის მოგონებებში მოგვითხოვობს იმის შესახებ, თუ როგორ გახდა დიდი პოეტი და რამდენი დამცირება გადაიტანა მან ამ გზაზე.
- ბ) თხზულებაში ძალზე შთამბეჭდავად არის დახატული ქართველ არისტოკრატთა სახეები და მაშინდელი ურთიერთდამოკიდებულება სოციალურ ფენებს შორის.

- გ) იგი დოკუმენტური ქანრის ნაწარმოებია და ფორმის თვალსაზრისით სრულიად უნიკალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.  
 დ) „ჩემი თავგადასავალი“ ნათლად აჩვენებს იმ სოციალურ დაპირისპირებებს, რომლებმაც საბოლოოდ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის დაშლა გამოიწვია.

(1) 21. ქართველი სიმბოლისტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თავიანთი ლიტერატურული პრინციპების დასაყრდენს ეძებდნენ, ხოლო კიტა აბაშიძე დარწმუნებით ამბობდა: „სიმბოლიზმის საუკეთესო წარმომადგენელი როგორც პროზაში, ისე პოეზიაში ვაჟა-ფშაველაა“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების რა თავისებურება შეიძლებოდა გამხდარიყო ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი?

- ა) თხრობის სისადაგე და დიალექტური ფორმების გამოყენება.  
 ბ) მკაფიო ინდივიდუალიზმი, ალეგორიული და მითოლოგიური ასპექტები.  
 გ) საქართველოს ისტორიის მიმართ საგანგებოდ გამახვილებული ყურადღება.  
 დ) ძლიერი და მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული ნაკადი.

(1) 22. ტიციან ტაბიძის ლექსის, „ანანურთან“, განხილვისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რას გულისხმობდა პოეტი, როცა წერდა: „ეს არის ჩემი მცონობის ფასი და ოფიტმკვლელობის იავნანური...“?

რომელი წინადადება გამოგადგებათ მოსწავლის ამ შეკითხვის საპასუხოდ?

ა) საბჭოთა საქართველოში თავისუფლად მოაზროვნე პოეტს გაცნობიერებული პქონდა, რომ მუდმივი საფრთხის წინაშე იდგა.  
 ბ) საბჭოთა საქართველოში ყველა პოეტი დარწმუნებული იყო, რომ ბოლშევიკური რეპრესიებისაგან ვერაფერი დაიცავდა.  
 გ) საქართველოში პოეტები ყველა ეპოქაში საკუთარ ბედისწერას უჩიოდნენ და მუდმივად დეპრესიულ განწყობილებას გამოხატვდნენ.  
 დ) საქართველოში პოეტები ყველა ეპოქაში ხელისუფალთაგან დაუცველად და საზოგადოებისაგან გარიყელად გრძნობდნენ თავს.

(1) 23. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხინების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: რატომ ეჭვა ავტორი ასე სასტიკად თავის პერსონაჟებს, ნუთუ არაფერი იყო მათში პოზიტიური?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მწერლის პოზიციის ასახესნელად?

ა) ავტორმა აირჩია წერის ექსპრესიონისტული სტილი ადამიანების „ცხოველური“ ბუნების უკეთ წარმოსაჩენად.  
 ბ) ავტორმა აირჩია წერის იმპრესიონისტული სტილი ადამიანის ბუნების შეუცნობლობის საჩვენებლად.  
 გ) ავტორმა აირჩია წერის რეალისტური სტილი ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი დაცემის საჩვენებლად.  
 დ) ავტორმა აირჩია წერის სიმბოლისტური სტილი ადამიანთა სულიერი დაცემისა და აღდგნების საჩვენებლად.

(1) 24. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ შესწავლისას მოსწავლემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და დასვა შეკითხვა: აშკარაა, რომ მოთხრობის მთავარი გმირის ამბოხი გაუგებარია იმ საზოგადოებისათვის, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული. გამოდის, რომ ეს პრეტერი სრულიად უშედგერო და მაშინ რაღა აზრი აქვს მას?

როგორ უპასუხებთ მოსწავლის ამ მოსაზრებას?

- ა) გმირის ამბოხი ზეგავლენას ვერ მოახდენს დასაღუპავად განწირულ დეგრადირებულ ხალხზე და ამიტომ მას მართლაც არავითარი აზრი არა აქვს.  
 ბ) მართალია, საზოგადოება ადრე თუ გვიან სრულად გაიაზრებს მეამბოხე ადამიანის სულის კვეთებას, მაგრამ მაინც ვერაფერს შეცვლის.  
 გ) მადალი იდეალების ადამიანები მხოლოდ საკუთარ პრინციპებზე უნდა ფიქრობდნენ და არა საზოგადოების შეგნებისა თუ მორალური სახის გაჯანსაღებაზე.  
 დ) მადალი იდეალების ადამიანებს, მართალია, საზოგადოების შეცვლა არ შეუძლიათ, მაგრამ თავიანთი ამბოხით ბიძგს აძლევენ მის განვითარებას.

### III. წაკითხულის გააზრება და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

კურადღებით წაიკითხეთ დავით გურამიშვილის ლექსი „სიმღერა დაგითისა: ზუბოვება“:  
„ზუბოვებიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,  
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.  
შაგ თვალწარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,  
მისმან ეშხმან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი.“

კიოთხე: მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?  
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი;  
შენთვის გული ქვათ გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი.  
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი!

ხმა გამომცა, გაგულისდა, სიტყვა მითხრა აფი:  
„ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე მთხოვე თავი?  
ბულბულთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავი?“  
მით აგსტირდი, ცრემლი ვლვარე ზღვათა შესართავი.

ასე მითხრა: „ჩამომეხსენ, გამეცალე, მარი!  
არ მინდინარ, არ მიყვარნარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, –  
შენგან თვალად უკეთესი, ვაჟი-კაცი, ქმარი“.  
რა ეს მესმა, ჯავრით ცხვირსა წამედინა ძმარი.

მითხრა: „შენგნით ნუმცა მსმია სიტყვა მაგის მეტი“.  
აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი.  
დავრეცრეცდი, გარდავიქც, დამეხვიდ რეტი;  
შავე-ბრალდი, თავს დამადგა, ვით ბნელს, ნათლის სვეტი.

რა მოვპრუნდი, დაიხარა, ხელს მომკიდა ხელი;  
ამაყენა, ასე მითხრა: „რად შექნილხარ ხელი?“  
მე მივუთხარ: „შენთვის გავხდი ასე ჭკვაზე თხელი,  
შენ რომ მწუნობ, მით მედების გულსა ცეცხლი ცხელი!“

მერმე ტკბილად დამიყოვა, კიდეც გამიცინა;  
ასე მითხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა.  
ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა;  
კულავ სადმე ამოივლი, მე დაგხდები წინა“.

სად წავიდა, ვერა ვნახე, ჩემი საყვარელი,  
მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი.  
მე, მის მონას ნუმც ამხდიდ მისგან საფარველი!  
სად მიჭირდეს, მამეშველოს, სხვას აღარას ველი.

დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ“. აწ მე იმას ველი;  
მისთვის ვსტირი, ცრემლითა მაქს უბე, კალთა სველი.  
სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი,  
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი.

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,  
აჲა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა,  
იმედი მაქს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,  
უავდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.

დგომისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსაა,  
სხვას უკეთეს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?  
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,  
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა.

აწ, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?  
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.  
ქვესკნეთსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;  
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

ქვესკნეთსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;  
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!  
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“

### 1) წაკითხულის გააზრება

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა  
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი  
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამ-  
გვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### (1) 25. რა არის პირველი სტროფის ფუნქცია?

- ა) ამბის დაწყება.
- ბ) თხრობის კულმინაცია.
- გ) კვანძის გახსნა.
- დ) სიუჟეტის განვითარება.

#### (1) 26. რომელ სტრიქონში მიმართავს ავტორი მეტაფორულ აზროვნებას?

- ა) „გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი“.
- ბ) „ზუბოვებიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი“.
- გ) „მისმან ეშემან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი“.
- დ) „შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი“.

#### (1) 27. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „გახდა ვით კლდე სალი“?

- ა) გაპიროვნება.
- ბ) მეტაფორა.
- გ) შედარება.
- დ) პიპერბოლა.

#### (1) 28. რა არის მეორე სტროფის მთავარი სათქმელი?

- ა) ლირიკული გმირი თავის გრძნობას უმაღავს უცნობ ქალს.
- ბ) ლირიკული გმირი სიყვარულს უმუდავნებს უცნობ ქალს.
- გ) ლირიკული გმირი ცდილობს გაუქცეს თავს დამტყდარ გრძნობას.
- დ) ლირიკული გმირი ცდილობს მოიტაცოს უცნობი ქალი.

#### (1) 29. რა უწოდა ლირიკულ გმირს უცნობმა ქალმა?

- ა) ბულბული.
- ბ) ვარდი.

- გ) მატყუარა.  
დ) ყვავი.

(1) 30. რომელ სტრიქონში გამოხატავს ავტორი თვითირონიას?

- ა) „არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი“.  
ბ) „ასე მითხრა: „ჩამომეხსენ, გამეცალე, მარი!“  
გ) „მე მიუთხარ: „შენთვის გაგხდი ასე ჭავაზე თხელი“.  
დ) „შენგან თვალათ უკეთესი, ვაჟი-კაცი, ქმარი“.

(1) 31. რა გრძნობა იწვევს უცნობი ქალის ხასიათის ცვლილებას?

- ა) სიბრაზე.  
ბ) სიბრალული.  
გ) სიყვარული.  
დ) სიძულვილი.

(1) 32. რაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ავტორი უცნობი ქალის ნათლის სვეტთან შედარებით?

- ა) მხატვრულ შემოქმედებაზე.  
ბ) ფიზიკურ ნაკლზე.  
გ) ქალის მშვენიერებაზე.  
დ) წუთისოფლის სიმუხთლეზე.

(1) 33. ვის გულისხმობს ავტორი, მეცნიერთა აზრით, ამ ლექსის უკანასკნელ ოთხ სტროფში?

- ა) თანასოფლელ ქალს.  
ბ) იესო ქრისტეს.  
გ) მამა ღმერთს.  
დ) მიტოვებულ სატრფოს.

(1) 34. რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას მიმართავს ავტორი ამ ტექსტში?

- ა) ალეგორიას.  
ბ) გროტესკს.  
გ) რემინისცენციას.  
დ) სარკაზმს.

2) სწავლების მეთოდიკა (დავალება № 35)

- ა) იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.  
 (პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახმორდება).

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახწოდება).

- ბ) გაააღნალიზეთ **პრობლემა**, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ  
მოსწავლეები.

## ანალიზის დროს:

- ჩამოაყალიბეთ ეს პრობლემა და მოიხმეთ ტექსტიდან მაგალითები;
  - ახესებით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.  
(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახდება).

გ) დასახეო შექმნილი პრობლემის დაძლევის გზები.

- აღწერეთ ის **სახწავლო ქმედება**, რომელსაც გამოიყენებთ კლასში მუშაობის დროს;
- ახსენით, როგორ დაეხმარება ეს **სახწავლო ქმედება** მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გაგებასა და გააზრებაში;
- ახსენით, როგორ დააძლევინებს ეს **სახწავლო ქმედება** მოსწავლეებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახწორდება).

